პროფ. თ.გველესიანის და პროფ. დ.ჩომახიძის წიგნის "საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიის და ეკონომიკის პრობლემები)" თბილისი. "უნივერსალი". 2011 წ. გამოსვლის გამო

ენერგეტიკული უსაფრთხოება ჰიდროკვანძების, მათი მიმდებარე რაიონების, ეკონომიკისა და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი მონოგრაფია გამოირჩევა თემის განსაკუთრებული აქტუალობით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემების ფართო ხედვით, ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების თავისებურებებისა და ტენდენციების კომპლექსურად შესწავლასა და შეფასებაში თანამედროვე მიდგომების გამოყენებით.

მონოგრაფიაში ენერგეტიკა განხილულია როგორც საბაზრო ეკონომიკაზე ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის უმთავრესი პირობა. ავტორები, პროგრესს ამ დარგში მიიჩნევენ როგორც ამოსავალ საწყისს ქვეყნის განვითარებისათვის, მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის მიზნით. მათი ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია ორი უმთავრესი პრობლემის – საინჟინრო-ჰიდროეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე.

ამ პრობლემასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკვანძო საკითხი განხილულია ფართოდ და სიღრმისეულად.

ამ წიგნში, საქართველოს პირობებისათვის პირველად და კომპლექსურად არის განხილული ტექნიკურ-ეკონომუკურ ჭრილში, ენერგეტიკული უსაფრთხოების ფუძემდებლური პრონციპები.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან და 13 თავისაგან; მოიცავს ტექსტის 473 გვერდს, მათ შორის დანართებს, მრავალრიცხოვან გრაფიკებს, ნახატებსა და სქემებს.

წიგნი უნდა იყოს გამოყენებული საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით, ქვეყნის სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციის, კერძოდ, უშიშროების საბჭოს, შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სხვ. მიერ, აგრეთვე უდაოდ საინტერესო იქნება, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ფართო წრისათვის, ასევე ტექნიკური და ეკონომიკური უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

ოთარ ნათიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი